გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 7

2025 წლის 13 იანვარი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის მიმდებარედ 1 (ერთი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობის“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის დირექტორის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის მიმდებარედ 1 (ერთი) ლოკაციაზე სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობის განთავსება. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის მიმდებარედ 1 (ერთი) ლოკაციაზე, მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობა გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18- „ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა.“

საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის მიმდებარედ 1 (ერთი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის მიმდებარედ 1 (ერთი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა“.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე